თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

2015 წელი

საქართველო

თამბაქოს გლობალური ტვირთი

თამბაქოს მოხმარება ერთ—ერთი უდიდესი საფრთხეა, რომელიც საზოგადოებას ემუქრება და რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია.

თამბაქოს გლობალური ეპიდემია დაახლოებით 6 მილიონ ადამიანს კლავს ყოველწლიურად, აქედან 600 000-ზე მეტი მეორადი კვამლით იღუპება. ყოველ 6 წამში დაახლოებით ერთი ადამიანი იღუპება თამბაქოს მიზეზით. 1.2 მილიარდი ადამიანი 15 წლის ზევით დამოკიდებულია თამბაქოზე, მათი დაახლეობით 80% დაბალ- და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში ცხოვრობს. თამბაქოს მიზეზით მსოფლიოში თითქმის 6 მილიონი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად, მათ შორის 1.5 მილიონი ქალი. მე-20 საუკუნეში თამბაქომ 100 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა; თუ არსებული ტენდენცია გაგრძელდება, 21-ე საუკუნეში ის ერთ მილიარდ ადამიანს შეიწირავს. გადაუდებელი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, 2030 წლისთვის თამბაქოთი გამოწვეული სიკვდილის ყოველწლიური რიცხვი მიაღწევს 8 მილიონს. თამბაქოს მოხმარების კუთხით საქართველოს, სამწუხაროდ, ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის.

თამბაქოს კონტროლის ღონისძიებათა გაძლიერება საქართველოში

საქართველოში თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების შესაბამისობაში მოსაყვანად საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობასთან და თამბაქოსთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი მოძრაობის (კამპანიის) დასაწყებად, 2013 წლის 15 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო თამბაქოს კონტროლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომელიც გულისხმობს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო კომისიის შექმნას სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. აღნიშნული კომისიის მიერ შემუშავებული იქნა თამბაქოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია (რომელიც მთავრობის მიერ დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N196 დადგენილებით), და მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე დამტკიცდა.

თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანია საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და მისთვის მეტი ჯანმრთელი წლების უზრუნველყოფა თამბაქოს მოხმარების შემცირების და მეორადი კვამლისგან დაცვის გზით. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს განსახორციელებელ ღონისძიებებს, ამოცანებს, გეგმის განხორციელების ვადებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებსა და დაფინანსების საკითხებს.

თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის პირდაპირი ამოცანებია: აქტიური მოხმარების შეწყვეტის ხელშეწყობა მოსახლეობის ყველა ჯგუფში მოწევის შეწყვეტის სერვისების განვითარების გზით; მოწევის დაწყების პრევენცია, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში; მეორადი კვამლის ზემოქმედების (პასიური მოწევა) შემცირება, მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება მოწევის და სიგარეტის კვამლის მავნე ზემოქმედების შესახებ; თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის გაძლიერება და აღსრულება, განსაკუთრებით, საჯარიმო პოლიტიკასთან მიმართებაში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის შესაბამისად; თამბაქოსთან დაკავშირებულ საკითხებში მოსახლეობის ჯგუფებს შორის უსამართლობის და უთანასწორობის შემცირება; ეფექტური მოქმედების მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარება ევროპის და სხვა რეგიონების ქვეყნებთან, მეზობელ სახელმწიფოებთან; თამბაქოს მოხმარების მავნებლობის, ეკონომიკური ზიანისა და პრევენციული ღონისძიებების ხარჯთ-ეფექტურობის შესახებ მეცნიერული მტკიცებულებების მოპოვება და გენერირება.

თამბაქოს კონტროლის სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებებია: თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების კოორდინაცია და მართვა; თამბაქოს ნაწარმზე გადასახადების დაწესება მასზე მოთხოვნის შესამცირებლად; თამბაქოს კვამლის მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა; თამბაქოს ნაწარმის შემცველობის რეგულირება და ნაწარმის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება; თამბაქოს ნაწარმის

შეფუთვა და მარკირება; თამბაქოს რეკლამირება, პოპულარიზაცია; თამბაქოზე დამოკიდებულების და მოხმარების შეწყვეტასთან დაკავშირებული ღონისძიებები; თამბაქოს წარმოებისა და ვაჭრობის რეგულირება; თამბაქოს კანონმდებლობის დარღვევებზე საჯარიმო სანქციების სისტემის გაუმჯობესება; თამბაქოს ინდუსტრიის პასუხისმგებლობა; კვლევები და შეფასება.

მომზადებულია კანონპროექტები შემდეგ კანონებზე: საქართველოს კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ, საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი. აღნიშნული კანონპროექტები განხილულ იქნა სახელმწიფო კომისიის წევრი სამინისტროების მიერ და გაგზავნილია მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

გარდა ამისა, 2015 წლის 30 ივნისის საქართველოს მთავრობის №308 დადგენილების თანახმად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ახორციელებს „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამას, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია „თამბაქოს კონტროლის ხელშეწყობა“, რომელიც მიზნად ისახავს თამბაქოს შესახებ არსებული კანონმდებლობის აღსრულების ხელშეწყობას და თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისათვის დახმარების გაუმჯობესებას.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენცია და საქართველო

- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია (თჩკ) - პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მიღებული იქნა 2003 წელს ჯანმოს მიერ
- ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხელშეკრულება გაერთიანებული ერების ისტორიაში - 179 ქვეყანას აქვს მოწერილი ხელი
- საქართველომ 2006 წლის 14 თებერვალს მოახდინა თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება (ძალაში შევიდა 2006 წლის 15 მაისს)
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ, მსოფლიოს სხვა 178 ქვეყანასთან ერთად, აიღო ვალდებულება ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის კუთხით სრულფასოვანი ღონისძიებების გატარებაზე.

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მაგალითები

- გადასახადების ზრდა თამბაქოს ნებისმიერ პროდუქტზე (ყოველწლიური ზრდა 2018 წლამდე); აქციზური გადასახადის ზრდა - ცვლილება საგადასახადო კოდექსში - კონვეციის მე-6 მუხლი (2014 წლიდან)
- თამბაქოს მოხმარების მაქსიმალური ეტაპობრივი აკრძალვა ყველა სახის საზოგადოების თავშეყრის ადგილას - ცვლილება თამბაქოს კონტროლის კანონში - კონვეციის მე-8 მუხლი (2014 წლიდან)
- თამბაქოს შემცველობების შესახებ რეგულაციის გამკაცრება და ინფორმაციის გამჭირვალობა - ცვლილება თამბაქოს კონტროლის კანონში, კონვენციის მე-9, მე-10 მუხლები (2014 წლიდან)
- სამედიცინო გაფრთხილებების თანდათანობითი ზრდა 60%-მდე და პიქტოგრამების სავალდებულო დატანა - ცვლილება თამბაქოს კონტროლის კანონში, კონვენციის მე-11 მუხლი (2014)

- საგანმანათლებლო კამპანიების უზრუნველყოფა - თამბაქოს კონტროლის ეროვნული პროგრამა, კონვენციის მე-12 მუხლი; (2013)
- რეკლამის, სპონსორობის და პოპულარიზაციის სრული აკრძალვა - ცვლილება რეკლამის კანონში, კონვეციის მე-13 მუხლი (2014)
- კანონის დარღვევებზე ჯარიმების გაზრდა; ადმინისტრირების მექანიზმის გამარტივება - ცვლილებები ადმინისტრაციულ სამარართალდარღვევათა კოდექსში (2014)
- თამბაქოს ინდუსტრიის პასუხისმგებლობა - კომპენსაციები მიმართული თამბაქოს პრევენციის ღონისძიებებზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროგრამებზე - წინადადებების მომზადება 2015 წლამდე, კონვენციის მე-19 მუხლი

თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა

მოქმედი თამბაქოს კონტროლის კანონი

1. კრძალავს მოწევას :

- სააღმზრდელო, საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებსა და დახურულ სპორტულ ნაგებობებში; სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებებში; ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების მთელ ტერიტორიაზე
- სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე, გარდა სტაციონარული ფსიქიატრიული და პალიატიური მკურნალობისთვის განკუთვნილი დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოცემული სპეციალური ბრძანებით ზოგიერთი ქმედუუნარო ან მძიმე ავადმყოფი პაციენტისათვის განსაზღვრული ადგილისა (ადგილებისა)
- საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის, ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსში, საჰაერო ხომალდში, მეტროპოლიტენში, ტრამვაისა და ტროლეიბუსში (ტაქსის გარდა)

2. ზღუდავს მოწევას:

- სხვა ყველა ტიპის დახურულ შენობა-ნაგებობებში. სადაც მოსაწევი ადგილის გამოყოფის საშუალებაა არაა მაშინ იქაც სრულად იკრძალება მოწევა. რესტორბენსა და ბარებში ასევე უნდა იყოს ცალკე მოსაწევი ადგილები ან მინ. 50% არამწეველებისათვის
- თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია აკრძალულია:
- აკრძალულია 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ჩართვა თამბაქოს ინდუსტრიაში
- სააღმზრდელო, საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის რადიუსში
- ყველა სახის სამედიცინო, სასწავლო, სახელმწიფო, სპორტულ და კულტურულ დაწესებულებებში
- სავაჭრო ობიექტების იმ სექციებში, სადაც ბავშვთა ტანსაცმელი და სათამაშოები იყიდება
- ერთეული ღერებით, ერთეული შეფუთვით (კოლოფით), თუ მასში 20 ღერ სიგარეტზე ნაკლებია ან მეტია. ასევე შეფუთვის გარეშე;
- 18 წლამდე ასაკის პირებზე

- ელექტრონული ან მექანიკური მანქანების საშუალებით
- თამბაქოს ნაწარმის გათამაშების, ლატარიის, ლოტოს, მომგებიანი ან სხვა სახის აზარტული თამაშის საშუალებით მისი განაწილება

თამბაქოს კონტროლის კანონის ცვლილებათა კანონპროექტი

მნიშვნელოვანი დამატებები

- თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია აკრძალულია:
  - სააღმზრდელო, საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 100 მეტრის რადიუსში
  - ინტერნეტით ან ფოსტით (საცალო ვაჭრობა);
  - თუკი თამბაქოს ნაწარმი, მისი აქსესუარები ან მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობები განლაგებულია ობიექტის გარე ვიტრინებსა და ვიტრაჟებზე
- თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე ე.წ. პიქტოგრამული გამოსახულებების სავალდებულო დატანა
- განთავსებული შეფუთვის წინა და უკანა გვერდებზე, ზედა და ქვედა კიდეების პარალელურად, და არ უნდა იკავებდეს უკანა გვერდის საერთო ფართობის 50 პროცენტზე ნაკლებს და წინა გვერდის 50% ნაკლებს, რომლებშიც შედის შემომფარგვლელი ხაზებიც.“
- ჯანდაცვითი გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და დანერგვის პროცესში თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების დაუშვებლობა და თამბაქოს ინდუსტრიასთან საჯარო ორგანიზაციების/პირების ურთიერთობათა გამჭვირვალეობა
- თამბაქოს ნაწარმის შემცველობის კონტროლი
- თამბაქოს მოწევა აკრძალულია:
  - ყველა სახის საჯარო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში
  - სააღმზრდელო, საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრებისა და მსგავსი ობიექტების შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე
  - სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე, გარდა სტაციონარული ფსიქიატრიული და პალიატიური მკურნალობისთვის განკუთვნილი დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოცემული სპეციალური ბრძანებით ზოგიერთი ქმედუუნარო ან მძიმე ავადმყოფი პაციენტისათვის განსაზღვრული ადგილისა (ადგილებისა)
  - გასართობი ცენტრების, თეატრების, კინოების, საკონფერენციო დარბაზების, სპორტული დაწესებულებების და კომპლექსების შენობა-ნაგებობში
  - ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე
  - იმ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე, სადაც ინახება ცეცხლსაშიში ნივთიერებები

- საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის, ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსიში, საჰაერო ხომალდში, მეტროპოლიტენში, მატარებელში, ტრამვაისა და ტროლეიბუსში
- ტაქსებში
- სტადიონებზე
- რესტორნების და კაფე-ბარების, კაზინოებისა და საბანკეტო დარბაზების შენობა-ნაგებობებში
- ყველა სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის დაწესებულებათა შენობა-ნაგებობაში

განსაკუთრებული შემთხვევები

- (2016 წლის 1 იანვრამდე რესტორნების და კაფე-ბარების, კაზინოებისა და საბანკეტო დარბაზების შენობა-ნაგებობებსა და ყველა სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის დაწესებულებათა შენობა-ნაგებობაში აკრძალულია თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალური მოსაწევი ადგილისა (ადგილებისა). სპეციალური მოსაწევი ადგილი (ადგილები) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
  - არ უნდა იკავებდეს დაწესებულების საერთო ფართის 20%-ზე მეტს;
  - სრულად (კედლებით) გამიჯნული უნდა იყოს დაწესებულების სხვა ნაწილებისაგან/ტერიტორიისაგან;
  - ჰქონდეს ვენტილაცია ან ღია სივრცეში გამავალი ფანჯარა)
- სასტუმროებში და სხვა მსგავს დაწესებულებებში მოწევა აკრძალულია ნომრების არანაკლებ 50%-ისა (2016 წლამდე არანაკლებ 30%-ისა)
- პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში თამბაქოს მოხმარების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

პასუხისმგებლობა

- დაწესებულებათა ხელმძღვანელები/მფლობელები პასუხისმგებელნი არიან მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ დაწესებულებებში ამ კანონით განსაზღვრული მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის უზრუნველყოფაზე

თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის აღსრულება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით

მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

მუხლი 155 [2]. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაზიდვა

1. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა, — გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 2000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 30 დღემდე
2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, — გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება საკმარისად არ ჩაითვლება, — ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 60 დღემდე, სამართალდარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებების კონფისკაციით ან კონფისკაციის გარეშე

მუხლი 155 [3] თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა

1. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია იმ სავაჭრო ობიექტში, სადაც წარმოებს ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია, — გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარით.

2. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სკოლაში, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათი კუთვნილი ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, აგრეთვე ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში, — გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, — გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარით.

4. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე, — გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარით.

5. სიგარეტის ღერების, ერთეული შეფუთვის (კოლოფის) რეალიზაცია, თუ მასში სიგარეტის 20 ღერზე ნაკლებია, — გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარით.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, — გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით.

მუხლი 155[5] .თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილებისაგან და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის კონსულტაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონისგანთავსებისაგან თავის არიდება

1. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილებისაგან და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის კონსულტაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონის განთავსებისაგან თავის არიდება, — გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარით

მუხლი 155 [6] . თამბაქოს პროდუქციის დიზაინის დარღვევა

1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით დადგენილი თამბაქოს პროდუქციის დიზაინის დარღვევა — გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, — გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარით.

მუხლი 171[1] . თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევა

1. საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის, ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსიში, ტრამვაი-ტროლეიბუსში, მატარებელსა და საზღვაო ხომალდში, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციებისა და მასობრივი თავშეყრის ადგილის დახურულ შენობა-ნაგებობებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტში, სადაც აკრძალულია მაგარი სპირტიანი სასმელების რეალიზაცია და მოხმარება, თამბაქოს მოწევა საამისოდ გამოყოფილი სპეციალური ადგილის ფარგლებს გარეთ, — გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ლარით.

2. საჰაერო ხომალდში თამბაქოს მოწევა საამისოდ გამოყოფილი სპეციალური ადგილის ფარგლებს გარეთ, — გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

3. სკოლამდელი აღზრდის, ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში თამბაქოს მოწევა, — გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარით.

4. ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მასობრივი თავშეყრის ადგილის დახურული შენობა- ნაგებობების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მფლობელთა მიერ, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულება- ორგანიზაციების დახურული შენობა-ნაგებობების, სკოლამდელი აღზრდის, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებების, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილი დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განუხორციელებლობა — გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, — გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით.

მუხლი 171 [2] . თამბაქოს ინდუსტრიის განმახორციელებელი პირის მიერ თამბაქოს პროდუქციის, თამბაქოს პროდუქციის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშნის ან ლოგოტიპის დემონსტრირება სამედიცინო ან/და სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებისას და ჩატარებისას

1. თამბაქოს ინდუსტრიის განმახორციელებელი პირის მიერ თამბაქოს პროდუქციის, თამბაქოს პროდუქციის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშნის ან ლოგოტიპის დემონსტრირება სამედიცინო ან/და სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებისას და ჩატარებისას, — გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, — გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით.

მუხლი 171 [3] . თვრამეტ წლამდე ასაკის პირის ჩაბმა თამბაქოს ინდუსტრიაში

1. თვრამეტ წლამდე ასაკის პირის ჩაბმა თამბაქოს ინდუსტრიაში,— გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, — გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით.

მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

- რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს,რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 155 [1] — 156-ე, 171 [1] მუხლებით

მუხლი 239. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

- 19. ამ კოდექსის 155[1] —155[6] , მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები

- 48. ამ კოდექსის 155[3] — 155[6], 171[1] — 171[3]-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში

მუხლი 249. ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა

- ამ კოდექსის 155[2] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას ჯარიმის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება სამართალდარღვევის საგნის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა. ჯარიმის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას ჩამორთმეული საგნისა და სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 312[1]. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არაიდენტიფიცირებული სამართალდამრღვევის მიმართ

- არაიდენტიფიცირებული პირის მიერ ამ კოდექსის 155[2] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული ჯარიმის გადახდის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული ხასიათის ღონისძიების სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის, უშუალო ობიექტის, საგნის, საქონლის, ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების დროებითი ჩამორთმევა და 3 თვემდე ვადით შენახვა. ამ ვადაში პირის იდენტიფიცირებისას მის მიმართ საქმის შემდგომი წარმოება გრძელდება საერთო წესით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებათა კანონპროექტი

გაზრდილი ჯარიმები

მუხლი 155[3]

1. თამბაქოს ნაწარმის, მისი აქსესუარების და მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების რეალიზაცია იმ დაწესებულებებში, დაწესებულებების ტერიტორიაზე, ორგანიზაციებში, სავაჭრო ობიექტებში, სავაჭრო ობიექტების სექციებში, სადაც კანონმდებლობით აკრძალულია ამგვარი ნაწარმის რეალიზაცია, — გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით,

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

3. თამბაქოს ნაწარმის, მისი აქსესუარების და მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების განლაგების წესების დარღვევა, — გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარი ოდენობით.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

5. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია ერთეული ღერებით, ერთეული შეფუთვით (კოლოფით) თუ მასში 20 ღერ სიგარეტზე ნაკლებია ან მეტია, ასევე შეფუთვის გარეშე, — გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

6. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით

7. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირებზე, — გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

8. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

9. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია ელექტრონული ან მექანიკური მანქანების საშუალებით, გარდა თამბაქოს ნაწარმის განთავსების და რეალიზაციისათვის გამოყოფილი სპეციალური ადგილებისა, — გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ამგვარ მანქანებში არსებული თამბაქოს ნაწარმის კონფისკაციით.

10. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, ამგვარ მანქანებში არსებული თამბაქოს ნაწარმის კონფისკაციით.

11. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია (საცალო ვაჭრობა) ინტერნეტით ან ფოსტით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

12. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

13. კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენტური ორგანოს მიერ შესაბამისი შემოწმებისას გამოვლენილი თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია უფასოდ ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, - გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

14. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 155 [5]

1. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის სამედიცინო გაფრთხილების განთავსებისაგან თავის არიდება ან იმგვარი სამედიცინო გაფრთხილების განთავსება, რომელიც არ შეესაბამება დამტკიცებულ პარამეტრებს, — გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით,- გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.''

მუხლი 155 [6]

1. საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია, რომლის დასახელება, შეფუთვის და/ან ეტიკეტის რომელიმე ელემენტი შეიცავს რაიმე ყალბ, შეცდომაში შემყვან ან არასწორი წარმოდგენის შემქმნელ ინფორმაციას თამბაქოს ნაწარმის თვისებების, საზიანო ზემოქმედების ან გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ, ან საქართველოს სახელმწიფო და/ან რომელიმე უცხო ენაზე რაიმე ისეთი სიტყვის, სავაჭრო ნიშანის ან გამოსახულების გამოყენება, რომელიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით შექმნის არასწორ წარმოდგენას თამბაქოს რომელიმე კონკრეტული ნაწარმის ნაკლებ მავნებლობაზე თამბაქოს სხვა ნაწარმთან შედარებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, უკანონო თამბაქოს ნაწარმის კონფისკაციით.

2. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია შეფუთვით, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, — გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, უკანონო თამბაქოს ნაწარმის კონფისკაციით.

3. ,,თამბაქოს კონტროლის შესახებ'' კანონით დადგენილი თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე სამედიცინო გაფრთხილებების როტაციის წესის დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.''.

მუხლი 171 [1] . თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევა – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. იმ დაწესებულებების/ტრანსპორტის ხელმძღვანელის/მფლობელის მიერ, რომელთა ტერიტორიაზე/შენობა-ნაგებობებში ან სატრანსპორტო საშუალებებში სრულადაა აკრძალული მოწევა, ,,თამბაქოს კონტროლის შესახებ'' კანონის მოთხოვნების, კერძოდ, დაწესებულების მთელს ტერიტორიაზე/შენობა-ნაგებობებში და ტრანსპორტში მოწევის სრულად აკრძალვის უზრუნველყოფის შეუსრულებლობა, აგრეთვე მოწევის აკრძალვის მოქმედი წესების დამტკიცების, ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობების ყველა შესასვლელში და თვალსაჩინო ადგილებზე მოქმედი წესების და მოწევის აკრძალვის წარწერების და ნიშნების განთავსების, წესების დარღვევის აღკვეთის და პასუხისმგებლობის სათანადო ზომების უზრუნველყოფის შეუსრულებლობა, — გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. იმ დაწესებულებების/ტრანსპორტის ხელმძღვანელების/მფლობელის მიერ, რომელთა ტერიტორიაზე/შენობა-ნაგებობებში ან სატრანსპორტო საშუალებებში აკრძალულია მოწევა, გარდა სპეციალური მოსაწევი ადგილისა, ,,თამბაქოს კონტროლის შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნების, კერძოდ, დაწესებულების მთელს ტეროტორიაზე/შენობა-ნაგებობებში და ტრანსპორტში მოწევის (გარდა სპეციალური მოსაწევი ადგილისა) აკრძალვის უზრუნველყოფის შეუსრულებლობა, ასეთი სპეციალური მოსაწევი ადგილების გამოყოფა კანონის მოთხოვნათა

დარღვევით, მოწევის აკრძალვის მოქმედი წესების დამტკიცების, ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობების ყველა შესასვლელში და თვალსაჩინო ადგილებზე მოქმედი წესების და მოწევის აკრძალვის წარწერების და ნიშნების განთავსების, წესების დარღვევის აღკვეთის და პასუხისმგებლობის სათანადო ზომების უზრუნველყოფის შეუსრულებლობა, — გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით

მუხლი 171 [2] . თამბაქოს მწარმოებლების, იმპორტიორების და რეალიზატორების მიერ პირდაპირი ან/და არაპირდაპირი, ანუ სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის საშუალებით სპონსორობა – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. თამბაქოს მწარმოებლების, იმპორტიორების და რეალიზატორების მიერ პირდაპირი ან/და არაპირდაპირი, ანუ სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის საშუალებით სპონსორობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით

მუხლი 171 [3] . თვრამეტ წლამდე ასაკის პირის ჩაბმა თამბაქოს ინდუსტრიაში

1. თვრამეტ წლამდე ასაკის პირის ჩაბმა თამბაქოს ინდუსტრიაში, — გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.''

დამატებული მუხლები

,,155 [7] მუხლი. თამბაქოს ნაწარმის შემცველობის ნორმების და გაზომვის წესების დარღვევა"

1. საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია, რომლის შემცველების ზღვრულად დასაშვები ნორმები, გაზომვისა და რეგულირების წესები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, უკანონო თამბაქოს ნაწარმის კონფისკაციით.

2. თამბაქოს მწარმოებელის ან/და იმპორტიორის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი თამბაქოს ნაწარმის შემცველების აღნიშნული სტანდარტებით გაზომვის შედეგების შესახებ აკრედიტებული ლაბორატორიის დასკვნის წარმოდგენისაგან თავის არიდება, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

3. საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია, რომლის შეფუთვაზე განთავსებული ინფორმაცია შემცველების შესახებ არ შეესაბამება დადგენილი სტანდარტებით გაზომვების შედეგებს, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, უკანონო თამბაქოს ნაწარმის კონფისკაციით.

4. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელის ან/და იმპორტიორის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ყოველი წლის 31 მაისამდე დადგენილი სტანდარტებით თამბაქოს ნაწარმის შემცველობის ტესიტრების შესახებ და საგემოვნო თვისებების მისანიჭებლად ქიმიური დანამატებისა და გარემოში გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენისაგან თავის არიდება, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.''

მუხლი171 [4] . თამბაქოს მოწევის დემონსტრირებაა

1. თამბაქოს მოწევის დემონსტრირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სხვა ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებით, მასობრივი ჩვენებებისა და თეატრალური წარმოდგენების მეშვეობით, თუ ეს არ არის შემთხვევითი ჩაწერა ან/და შემოქმედებითი ჩანაფიქრის ნაწილი. — გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.''

მუხლი 171 [5] . თამბაქოს ნაწარმის საშუალებით გათამაშების ჩატარება

- თამბაქოს ნაწარმის გათამაშების, ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საშუალებით დარიგება ან/და ამგვარ ღონიძიებებში თამბაქოს ნაწარმის საშუალებით, მისი განაწილებით მონაწილეობის ორგანიზება, - გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით, უკანონო თამბაქოს ნაწარმის და სარეკლამო პროდუქციის და საშუალებების კონფისკაციით

(208–ე მუხლი)

,,რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 155 [2] , 155 [3] მუხლის მე–11—მე–14 ნაწილებით, 155 [7] , 171–ე მუხლებით.“

(209 [3] მუხლის პირველი ნაწილი) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურის ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის უფლებამოსილებაა:

- განიხილოს ამ კოდექსის 171 [1] მუხლით გათვალისწინებულ დარღვევა, ჩადენილი ყველა დაწესებულებასა და ტრანსპორტში (გარდა სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებებისა, სტადიონებისა და სპორტული დაწესებულებებისა, გასართობი ცენტრებისა, საკონფერენციო დარბაზების, რესტორნების, კაფეების და საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა, კლუბების, კაზინოების და საბანკეტო დარბაზებისა, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა, შეირაღებულ ძალებისა და პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისა)

- თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური

211–ე მუხლის რედაქცია ამ კოდექსის 171 [1] მუხლით განსაზღვრულ სამართალდარღვევებზე:

- საქართველოს რკინიგზის შესაბამისი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევებისთვის გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს

- საქართველოს რკინიგზის შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, გათვალისწინებული ჯარიმის გადახდევინების მიზნით საჯარიმო ქვითარი გამოწეროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მისთვის დადებულ ადმინისტრაციულ სახდელს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული პირი გამოწერს საჯარიმო ქვითარს, ასევე ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

212–ე მუხლის რედაქცია ამ კოდექსის 171 [1] მუხლით განსაზღვრულ სამართალდარღვევებზე:

- საზღვაო ტრანსპორტის ორგანოები განიხილავენ საზღვაო ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევებისათვის გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს,

- ამ მუხლში დასახელებულ თანამდებობის პირებს უფლება აქვთ გათვალისწინებული ჯარიმა გადაახდევინონ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელს.

213–ე მუხლის რედაქცია ამ კოდექსის 171 [1] მუხლით განსაზღვრულ სამართალდარღვევებზე

- საჰაერო ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევისათვის გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებამოსილ პირებს.

219–ე მუხლის პირველი ნაწილის რედაქცია:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის **155 [3] მუხლის პირველი–მე—10 ნაწილებით, 155[5] , 171 [1] მუხლით** (სტადიონებზე და სპორტულ დაწესებულებებში, გასართობ ცენტრებში, საკონფერენციო დარბაზებში, რესტორნებში, კაფეებში და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, კლუბებში, კაზინოებში და საბანკეტო დარბაზებში), **171 [5] მუხლით** გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს — თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში

219–ე მუხლის მეორე **ნაწილის რედაქცია:**

- „გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 155[3] მუხლის პირველი—მე—10 ნაწილებით, 155[5] , 171 [1] (სტადიონებზე და სპორტულ დაწესებულებებში, გასართობ ცენტრებში, საკონფერენციო დარბაზებში, რესტორნებში, კაფეებში და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, კლუბებში, კაზინოებში და საბანკეტო დარბაზებში), 171[5] მუხლით, — საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ პირებს

220–ე მუხლის პირველი ნაწილის რედაქცია:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა (რომლებიც ჩადენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების, სამხედრო მოსამსახურეთა და სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვეულ პირთა მიერ) საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 171 [1] მუხლით(რომლებიც ჩადენილია შეიარაღებული ძალების დაწესებულებების შენობებში და მათ ტერიტორიაზე)

228–ე მუხლის რედაქცია:

- 171 [2] და 171 [4] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ ამ კოდექსის 155[6] და 155 [7] მუხლებით, 171 [1] მუხლით (მხოლოდ სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებებში, ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის სალიცენზიო/სანებართვო/მაღალი რისკის ტექნიკური რეგლამენტის პირობების

ნაწილი) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება

239–ე მუხლის რედაქცია:

- ამ კოდექსის 155 [2] , 155 [3] მუხლის 1-ლი-მე-10 და მე-13-მე-14 ნაწილებით, 155 [5] , 171[1] მუხლით (სტადიონებზე და სპორტულ დაწესებულებებში, გასართობ ცენტრებში, საკონფერენციო დარბაზებში, რესტორნებში, კაფეებში და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, კლუბებში, კაზინოებში და საბანკეტო დარბაზებში), 171 [5] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაც იულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგე ნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბა მისი ორგანოების უფლებამოსილი პირები

239–ე მუხლის რედაქცია:

- ამ კოდექსის 155 [3] მუხლის მე—11-12 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს ადგენენ საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საამისოდ უფლებამოსილი პირები

239–ე მუხლის რედაქცია:

(63—ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 64—ე—70—ე ნაწილები:)

64. ამ კოდექსის 155 [6] და 155 [7] მუხლებით და 171 [1] მუხლით (მხოლოდ სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებებში) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

65. ამ კოდექსის 171[1] მუხლით (გარდა სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებებისა, სტადიონებისა და სპორტული დაწესებულებებისა, გასართობი ცენტრებისა, საკონფერენციო დარბაზების, რესტორნების, კაფეების და საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა, კლუბების, კაზინოების და საბანკეტო დარბაზებისა, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა, შეირაღებულ ძალებისა და პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურები.

66. ამ კოდექსის 171 [1] მუხლითგანსაზღვრულ სამართალდარღვევებზე (რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევებისთვის) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს რკინიგზის შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილი პირები.

67. ამ კოდექსის 171[1] მუხლით (საზღვაო ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევებისათვის) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საზღვაო ტრანსპორტის ორგანოები.

68. ამ კოდექსის 171[1] მუხლით (საჰაერო ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევისათვის) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებამოსილი პირები.

69. ამ კოდექსის 171 [1] მუხლით(რომლებიც ჩადენილია შეიარაღებული ძალების დაწესებულებების შენობებში და მათ ტერიტორიაზე) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოები.

70. ამ კოდექსის 171 [2] და 171 [4] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.“

ამოქმედების ვადა:

- ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 9 თვის შემდეგ

უფლებამოსილება და პასუხისმეგებლობები:

- აღნიშნული კანონით თამბაქოს მოხმარებასა და რეალიზაციის დარღვევებთან დაკავშირებული ჯარიმების დაკისრების ვალდებულება გადანაწილებულია შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაციაზე დაქვემდებარებულ სამსახურებზე, სისტემატური მონიტორინგის შესრულების საფუძველზე გამოვლენილი დარღვევებისათვის

- ჯარიმების დაკისრება ხდება იმ ორგანიზაციების ადმინისტრაციაზე სადაც აღმოჩენილია დარღვევა

- ამ კოდექსის 155 [3]-ე მუხლის პირველი — მე-10 ნაწილებით, 155 [5] , 171 [1] , 171 [5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და ადგილზევე უფარდებს სამართალდამრღვევ პირს ადმინისტრაციულ სახდელს საჯარიმო ქვითრით, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ოქმს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

სამომავლო გეგმები

დღეს არსებული თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის ანალიზი მიგვითითებს, რომ ერთის მხრივ, იგი შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს, მაგრამ ამავდროულად საჭიროებს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის მოთხოვნების მიხედვით მთელ რიგ დამატებებს და ცვლილებებს (მ.შ. რეკლამის და პოპულარიზაციის, საზოგადოებრივ ადგილებში თამბაქოს კვამლისაგან დაცვის, თამბაქოს პროდუქციის წარმოებასა და მიმოქცევაზე ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების, კოლოფზე გამაფრთხილებელი წარწერების და ნახატების გაუმჯობესების, ადმინისტრირებისა და გადასახადების სისტემის გადახედვის და ა.შ. მიმართულებებით), მეორეს მხრივ კი პოლიტიკური ნების გაძლიერებას უკვე არსებული დებულებების ამოქმედებისთვის.

ამ ეტაპზე ქვეყანაში არ ხორციელდება თანმიმდევრული სახელმწიფო ღონისძიებები ამ რისკ-ფაქტორის საწინააღმდეგოდ. სუსტია მოწევისთვის თავის დანებების მსურველთა დახმარების სისტემა და რესურსები. არსებობს გარკვეული საგადასახადო პოლიტიკა, თუმცა თამბაქოს პროდუქტებზე დღეს არსებული საყოველთაო ფინანსური ხელმისაწვდომობა არ შეესაბამება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერესებს. არადამაკმაყოფილებელია კოორდინაცია, არაადეკვატური დაფინანსება და მონიტორინგი აქვეითებს ეროვნული მოქმედების ეფექტურობას.

ჯანმოს თამბაქოს კონტროლის განხორციელების დაჩქარებისთვის საჭირო სამომავლო ნაბიჯებს განეკუთვნება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის და სახელმწიფო პროგრამის დროული დამტკიცება, კანონის აღსრულებისთვის ეფექტური მექანიზმების შექმნა, მრავალსექტორული თანამშრომლობის გაძლიერება, საერთაშორისო ცოდნისა გაზიარებისა და მხარდაჭერის გაძლიერება, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაძლიერება, თამბაქო UNDAF-ის დღის წესრიგში, თამბაქოს უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ოქმზე მიერთება, პოლიტიკის შემქმნელების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ფინანსური და ადამიანური რესურსები მობილიზება და სხვ.

მასალა დაბეჭდილია 2015 წლის „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო
პროგრამის ფარგლებში

ინფორმაციისათვის ეწვიეთ ჩვენს ინტერნეტ გვერდს:
www.ncdc.ge და შემოგვიერთდით ფეისბუკ გვერდზე:
„ჯანმრთელობის ხელშეწყობა“.

დაავადებეთა კონტროლისა და საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.